ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №366084

ნომერი: AR177662

თარიღი : 04.09.2012

გაცემის თარიღი : 25.09.2012

გაცნობის თარიღი : 25.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 60 , (ნაკვეთი 03/025) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა დავაძე პ/ნ 01029012915
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 35 კორ. 4 ბ. 1

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "კოლოსი-21" კოდი: 206335474

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილსის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 15.03.2012წ. №80643 მიწისნაკვეთისსამშენებლოდგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქალაქ თბილსის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 04 სექტემბერს AR177662 განცხადებით მოგვმართა მოქ. გელა დავაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 15.03.2012წ. №80643 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით 5.0. მ განაშენიანების რეგულირების ხაზის მოხსნა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნისვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილსის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 15 მარტს №80643 გადაწყვეტილებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სავაჭრო ცენტრის განსათავსებლად, რომელსაც დაუდგინდა განაშენიანების რეგულირების ხაზი 5.0მ. განაშენიანების რეგულირების ხაზის დადგენა განპირობებული იყო საზოგადოებრივი სივრცის შეზღუდვის თავიდან აცილებით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის საფუძველზე სამსახურმა გამოარკვია, რომ პროექტით გათვალისწინებულია საკადასტრო საზღვრებში არსებულ ფლიგელებს შორის შესასვლელის მოწყობა, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ის არეალში, რადგანაც წარმოდგენილი პროექტის განვითარების შედეგად არ იზღუდება საზოგადოებრივი სივრცე და ხელს არ უშლის ჭავჭავაძის გამზირზე ფეხითმოსიარულეთა თავისუფალ გადაადგილებას, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია შევიდეს ცვლილება 15.03.2012წ. №80643 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მოიხსნას საკადასტრო გეგმაზე დაფიქსირებული განაშენიანების რეგულირების ხაზი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ვინაიდან, წარმოდეგნილი პროექტის მიხედვით არ ხდება ფეხითმოსიარულეთა გადაადგილებისა და საზოგადოებრივი სივრცის შეზღუდვა, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 2012 წლის 15 მარტს №80643 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ამოღებულ იქნას 5მ. განაშენაინების რეგულირების ხაზი;
2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 15 მარტს №80643 გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წსით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.